საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი
ეკლესია
გლდანის წმინდა საეპისკოპოსო საქართველოში

მამისა მაკარისათვის მეგვიპტელისა

აღვიდოდა ოდესმე აბბა მაკარი მთასა ნიტრიისასა და თანა-ჰყვა მოწაფე ერთი და აკურთხა იგი მცირედ წინა მისსა სლვად, რომელსა შეემთხვია გზად ქურუმი კერპთმზორავი, მტვირთველი დიდსა კუნძსა მორისასა, მსწრაფლ მიმა-ვალი და ხმა-ჰყო მისსა მიმართ: „დემონო ბოროტო, ვიდრემე ხვალ?“

ქურუმი მოიქცა განრისხებული, გვემა უწყალოდ ბერი იგი და დაუტევა ნახევრად მწყდარი. განვლო რა მცირედ, შეემთხვია ნეტარი მაკარი, რომელმან იხილა რა იგი, ჰრქვა: „მშვიდობა შენდა, მუშაკო კეთილო“. ქურუმი, მსმენელი ხმისა მის ნეტარისასა, დაეყენა და ჰკითხვიდა წმიდასა მას განკვირვებით: „რაი საქმე ჰპოვე ჩემთანა ღირსი კეთილითა მაგით სიტყვით მოკითხვისა?“.

„გხედავ მოღუაწედ და უცონელად მოსწრაფედ მიმა-ვალსა“, - მიუგო აბბა მაკარი.

ხოლო ქურუმმან მეყვსეულად იწყო აღსარებად მისა: „სიტყუამან შენმან ლმობიერ-ჰყო გული ჩემი. შენ ხარ ჭეშმარიტად წმიდაი ღმრთისაი, სათნო მისა. არა ვითარ კაცი იგი, რომლისა-გან, შემემთხვია რა უწინარეს შენსა, ვიყვედრე და ვერ თავს ვიდევ და ვგვემე უწყალოდ და ძეს უძრავად გზასა ზედა“. და სიტყუასა ამას ზედა დავარდა იგი ფერხთა თანა

ნეტარისა მაკარისასა მეტყველი: „არა განვეშორებიშენგან, ვიდრემე არა მივემთხვიო ხელთაგან შენთა მონაზონებასა“ და შეუდგა მას. ოდეს მიიწივნეს ადგილსა, სადა იდვა ბერი იგი, მოწაფე მის წმიდისაი, აღადგინეს და თანა წარიტანეს იგიცა ხელითა თვისითა ეკლესიად, რამეთუ არა ძალ-ედვა ფერხითა თვისითა სლვად.

ძმათა მის მთისათა, იხილეს რა ქურუმი კერპთა მიმავალი მათდა ნეტარისა მის მაკარის თანა, ფრიად განკვირვებულ იქმნეს. ხოლო ქურუმმან მან ნათელს-იღო და შეიმოსა სამოსელი სინანულისაი და მონოზონ-იქმნა.

მხილველნი საქმისა მის, კერპთმსახურნი მრავალნი მოიქცენ სარწმუნოებად, რომლისა შემთხუევისათვის თქუა აბბა მაკარი: „სიტყუაი ბოროტი, ამპარტავნებით თქმული, კაცთა კეთილთაცა ბოროტად შეიქმს. ხოლო კეთილი და მდაბალი სიტყუა კაცთა ბოროტთა და უკეთურთაცა სიკეთედ მისზიდავს“.

“ბოროტი სიტყვა კეთილ
კაცსაც განაბოროტებს,
კეთილი სიტყვით
კი უკეთურსაც სიკეთედ
აღძრავ”

ლოცვა-კურთხევა
ოროპოსისა და ფილიის
† მიტროპოლიტ კვიპრიანესგან